ასტანაში ჩატარებული ყრილობის ფარგლებში უწმინდესი პატრიარქი კირილე რელიგიურ ლიდერებს შეხვდა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 18.09.25. 2025 წლის 17-18 სექტემბერს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს ყაზახეთში ვიზიტისა და ასტანაში მსოფლიო და ტრადიციული რელიგიების ლიდერების VIII ყრილობის ფარგლებში, შედგა მისი უწმინდესობის რიგი შეხვედრები სხვადასხვა რელიგიური თემის ლიდერებთან. ამის შესახებ **იტყობინება** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახური.

17 სექტემბერს უწმინდესი პატრიარქი კირილე კილიკიის დიდი სახლის კათოლიკოსს, არამ I-ს შეხვდა. მეგობრული და ძმური შეხვედრის დროს, მხარეებმა განიხილეს ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარება და აღნიშნეს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პლატფორმაზე ქრისტიანთაშორისი დიალოგისა და რუსეთისა და სომხეთის ეკლესიებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობა.

შემდეგ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი შეხვდა ყაზახეთის რესპუბლიკის მუსლიმთა სულიერი სამმართველოს თავმჯდომარეს, ნაურიზბაი კაჟი ტაგანულის. მონაწილეებმა გაცვალეს მოსაზრებები რუსეთსა და ყაზახეთში მართლმადიდებლურ-მუსლიმურ ურთიერთობებზე და ხაზი გაუსვეს რელიგიათაშორისი დიალოგის დადებით როლს მშვიდობიანი და სამართლიანი საზოგადოების მშენებლობაში.

ამის შემდეგ უწმინდესი პატრიარქი კირილე შეხვდა კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს თავმჯდომარეს, შეიხ-ულ-ისლამ ალაჰშუკურ ფაშაზადეს. საუბრისას, რომელიც მეგობრულ და ნდობის ატმოსფეროში წარიმართა, ორი თემის ლიდერებმა განიხილეს ორმხრივი ინტერესის შემცველი რიგი საკითხები.

იმავე საღამოს **შედგა შეხვედრა** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილესა და იერუსალიმის უნეტარეს პატრიარქ თეოფილე III-ს შორის. ორი ეკლესიის წინამძღვრებმა გაცვალეს მოსაზრებები წმინდა მიწაზე ბოლო დროს მომხდარ მოვლენებზე, მსოფლიოში მართლმადიდებლური ურთიერთობების მდგომარეობაზე და განიხილეს სხვა საკითხები.

18 სექტემბერს, უწმინდესი მეუფე რომის კათოლიკური ეკლესიის რელიგიათაშორისი დიალოგის დიკასტერიის პრეფექტს, კარდინალ ჯორჯ ჯეიკობ კუვაკადს შეხვდა; განიხილეს ორი ეკლესიის ურთიერთობის, ასევე რელიგიათაშორისი და ქრისტიანთაშორისი დიალოგის სხვადასხვა ასპექტი. კარდინალმა კუვაკადმა 2025 წლის დასაწყისში რელიგიათაშორისი დიალოგის დიკასტერიის პრეფექტის თანამდებობაზე შეცვალა გარდაცვლილი კარდინალი მიგელ აიუსო გიშოტი.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93565/